პროლეტარეებო ყველა მხრეთა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 99 (18641) პარასკევი, 29 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას! ხორცი შევასხათ საბჭოთა სამშვიდობო პროგრამას!

სკკკ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

შრომითს გამარჯვებას! გილოცავთ!

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს გაზსაწმენდ ნაგებობათა კომპლექსის მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, დამგეგმარებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის პროფსაბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ ღირსშესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს გაზსაწმენდ ნაგებობათა ახალი კომპლექსის მშენებლობის წარმატებით დამთავრებას.

საათში 2,56 მილიონი კუბური მეტრი გაზის წმენდის სიმძლავრის ამ რთული საინჟინრო ნაგებობის ამუშავებით მანგანუმის შენადნობთა წარმოება უნარჩენო გახდება, გაუჯობესდება მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, და რაც ყველაზე მთავარია, მთლიანად აღმოიფხვრება ჰაერისა და გარემოს გაჭუჭყიანება.

შემეცდინოებულ ვადებში დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება მშენებელთა, მემონტაჟეთა და ექსპლოატაციის მუშაკთა კოლექტივების ნაყოფიერი შრომის, გადამწყვეტ უბნებზე ძალებისა და სახსრების უნარიანი თავმოყრის, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია.

მშენებლობას აქტიურად ეხმარებოდნენ სსრ კავშირის მშენებლობის, სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა და შავი მეტალურგიის სამინისტროები.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ კვლავაც არ დაიშურებთ ძალღონესა და ცოდნას, რათა, რაც შეიძლება მალე აითვისოთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამოქმედებული სიმძლავრენი და გადაიქცეთ იგი წარმოების მაღალი კულტურის საწარმოდ.

გილოცავთ მშენებლობის ყველა მონაწილეს დიდ შრომითს გამარჯვებას და გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფსაბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ზესტაფონის თავზე კამკამა ცა

ახლა ზესტაფონელთა, ახლომახლო სოფლების ყველა მცხოვრების დიდი ხნის ოცნება, ათეული წლების მანძილზე პირველად მოხდა, რომ ზესტაფონის ქუჩებსა და პარკებს არ მოსდებია ფეროშენადნობთა ქარხნის მილებიდან ამოფრქვეული მოწითალო მტვერი, ხოლო აპრილის მაღლიან მზის სხივებს არ ფარავს ყვითელი კვამლის ბოლქვები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს უდიდეს მეტალურგიულ საწარმოში სიცოცხლე ჩამკვდარაო. სინამდვილეში კი კვლავ მიმდინარეობს დნობა, უზარმაზარი საამქროების კედლებს ისევ აკაშკაშებს მდუღარე ლითონის ალი. ქარხანამ დღევანდელობს მოთხოვნებით ნაკარნახევი ახალი რეჟიმით დაიწყო მუშაობა: ატმოსფეროში ამონაფრქვევების გარეშე.

ერთდროულად ორ პრობლემას — ეკოლოგიურსა და ნაწილობრივ ნედლეულის პრობლემას წყვეტს აქ გაზსაწმენდის მძლავრი კომპლექსი, რომელიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში პირველი მაისის დღესასწაულის წინ ამოქმედდა. იგი მშენებლებმა და მემონტაჟეებმა ვადამდე აამენეს, რითაც შეასრულეს გადადებული სოციალისტური ვალდებულებანი.

განხორციელებული სამუშაოს მასშტაბს მოწმობს ასეთი მონაცემები: მარტო სამშენებლო ობიექტზე დამონტაჟებული ლითონის კონსტრუქციების წონა **შვიდი ათას ტონას აღწევს.**

რვა სადნობი ღუმელიდან გაზი სპეციალური ფილტრებით გადადის მილსადენებში, რომელთაგან თითოეულში თავისუფლად მოთავსდება სატვირთო ავტომობილი.

კვამლსაწოვებში დაყენებული ძრავები, რომელთა საერთო სიმძლავრე თითქმის ათი ათასი კილოვატია, ყოველ საათში ფილტრებს აწვდიან დაახლოებით **ორასთვალა მილიონ კუბურ მეტრ გაზს.** მათში დალექილ მტვერს დაამბრიკეტებენ და გამდიდრების შემდეგ კვლავ გამოიყენებენ.

ორმოცი ტონა — ამდენი ფეროშენადნობის გამოდნობა შეიძლება ყოველდღე წინათ მილებიდან ამონამბოლქვი კვამლისაგან. სუფთა ჰაერის „ფაბრიკის“ ამუშავებას წინ უძღოდა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ათასობით სპეციალისტის დამაბული მრავალდღიანი მუშაობა, სწორედ საკვანძო პრობლემების გადასაწყვეტად, სწორედ ძალების გაერთიანების, მეცადინეობის კონცენტრაციის ამ ეფექტმა შესაძლებელი გახადა შემჭიდროებულ ვადებში გადაეცათ საექსპლოატაციოდ ურთულესი საინჟინრო ნაგებობა.

მთავარი, რამაც წარმატება განაპირობა, არის საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ნაკლოვანებების უნარიანი და ოპერატიული დაძლევა. ეს ნაკლოვანებანი დასაწყისში ცოტ-ცოტა როდი იყო, რადგან ასეთი ნაგებობების აშენების გამოცდილება ქართველ მშენებლებს არ ჰქონდათ.

მაგრამ მათ დასახმარებლად ჩამოვიდნენ რუსეთისა და უკრაინის, ქვეყნის სხვა რესპუბლიკების სპეციალისტები. მათი ხელშეწყობით დანერგეს სამონტაჟო სამუშაოების წარმოების პროგრესული ტექნოლოგია, მოწყობილობის, მასალების მიწოდებისადმი მკაცრი კონტროლი.

ბევრ რამეში წარმატებას მიაღწიეს იმის მეოხებითაც, რომ მშენებლებმა სრულიად გამორიცხეს ძალებისა და საშუალებების დაკარგვა, პრაქტიკულად არ ტოვებდნენ მომდევნო საინგარიშო პერიოდისათვის დაუმთავრებელ მშენებლობას, მიაღწიეს სამშენებლო ბაზისა და სარეალიზაციო პროგრამის ორგანულ შესაბამისობას. ყველაფერს — ლურსმნით დაწყებული და პანელით დამთავრებული — ბრიგადა დროულად იღებდა. სირთულე შეიქმნა ლითონის, რკინაბეტონის კონსტრუქციების, მრგვალი და მართკუთხა სარქველების მიწოდებასთან დაკავშირებით. მაგრამ კომპლექსის მშენებლობაზე შექმნილი სპეციალური შტაბი იღებდა საჭირო ზომებს — დახმარებისათვის მიმართავდა იმ ქალაქების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სადაც მზადდებოდა ეს პროდუქცია. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ დადებითი როლი შეასრულა. დროულად იწყეს შეკვეთილი მასალებისა და მოწყობილობის გამოგზავნა ირკუტსკის ცემბირის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ, დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხანამ, გორკის, ტაშკენტის, თბილისის, ბაქოს, ერევნის, რუსთავის საწარმოებმა. გაზსაწმენდის კომპლექსის აგებაზე დასაქმებული ყოველი სამშენებლო ქვეგანაყოფი საჭირო მასალებს ზუსტად დათქმულ ვადებში პირდაპირ თვლებიდან იღებდა, რაც გამორიცხავდა საწყობში დაწყობის პროცესს, უზრუნველყოფდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სწრაფ ტემპს.

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხუთწლედის ნაბიჯები

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის მიერ 1983 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკებმა შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების I კვარტალის გეგმა.

სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 5,5 პროცენტი წლიური გეგმის 4,6 პროცენტის ნაცვლად. **შრომის ნაყოფიერება** გადიდდა 4,5 პროცენტით; ამ გზით მიღებულია სამრეწველო წარმოების მატების 82 პროცენტი. შემცირდა პროდუქციის **თვითღირებულება და მასალატევადობა,** გაიზარდა **მოგება.**

ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა საქმიანობა მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და საწარმოები	პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი	1983 წლის I კვარტალი პროცენტობით 1982 წლის I კვარტალთან შედარებით	
		წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	96	89	86
ნავთობის მრეწველობის	101	99,7	96
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	101	103	102
გაზის მრეწველობის	100,5	104	102
ქვანახშირის მრეწველობის	99,2	97	97
შავი მეტალურგიის	102	101	100,6
ფერადი მეტალურგიის	109	107	105
ქიმიური მრეწველობის	102	106	105
მინერალური სასუქების წარმოების	93	116	116
მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	100	100,7	100,7
ელექტროტექნიკური მრეწველობის	102	113	112
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	96	96	96
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების	102	100,1	98
საავტომობილო მრეწველობის	102	104	103
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	102	90	123
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	104	111	111
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის	102	107	106
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის	100	102	101
მსუბუქი მრეწველობის	108	97	100,7
კვების მრეწველობის	102	104	103
ხორცისა და რძის მრეწველობის	129	112	112
თევზის მეურნეობის	134	113	117
სამედიცინო მრეწველობის	86	86	86
გზათა სამინისტროს	100,9	107	107
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები			
ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის	100,4	109	108
საშენ მასალათა მრეწველობის	102	106	108
მსუბუქი მრეწველობის	100,7	104	106
კვების მრეწველობის	103	104	103
ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის	104	90	92
ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის	103	109	104
ხილბოსტნეულის მეურნეობის	107	113	102
ხორცისა და რძის მრეწველობის	106	110	110
დამზადების	104	107	102
მშენებლობის	106	106	105
სასოფლო მშენებლობის	101	103	100,6
ადგილობრივი მრეწველობის	102	112	109
საბინაო-კომუნალური მეურნეობის	100,5	106	107

მანქანათმშენებლობის სამინისტროების, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი, სამედიცინო, კვების, საშენ მასალათა მრეწველობის, დამზადების, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ღვინისა და ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების საწარმოთა ხაზით, რომლებიც მთლიანად გადაყვანილი არიან ნორმატიული წმინდა პროდუქციის მიხედვით საქმიანობის დაგეგმვასა და შეფასებაზე, მონაცემები მოყვანილია ამ მაჩვენებლის შესაბამისად.

ქვემოთ მოგვყავს მონაცემები ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით:

ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები.	პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი	1983 წლის I კვარტალი პროცენტობით 1982 წლის I კვარტალთან შედარებით	
		წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
აფხაზეთის ასსრ	103	110	111
აჭარის ასსრ	102	107	107
სამხრეთ ოსეთის აო.	100,9	106	102
ქალაქები			
თბილისი	102	108	108
სოხუმი	105	109	111
ბათუმი	102	106	105
ცხინვალი	102	110	104
ქუთაისი	102	102	102

(დასასრული მე-2 გვ.).

ი. ვ. ანდროპოვის პასუხი

ამერიკელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფის მიმართვაზე

პატივცემულო გატონებო,

თქვენი მომართვა კოსმოსური იარაღის აკრძალვის შესახებ გამსჭვალულია სერიოზული შეშფოთებით კოსმოსის მშვიდობიანი მომავლის გამო. სავსებით ვიზიარებ ამ შეშფოთებას. კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილება ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას და იმაზე, გადაწყდება თუ არა იგი, დამოკიდებულია ბევრი რამ აქ, დედამიწაზე.

როგორც მეცნიერებსა და სპეციალისტებს, თქვენ კარგად გაქვთ წარმოდგენილი, თუ რა ძალზე საშიში შედეგები მოჰყვება კოსმოსურ სივრცეში სასიკვდილო იარაღის განლაგებას. სახელმწიფო მოღვაწეებმა, პოლიტიკოსებმა და მეცნიერებმა მართლაც ახლავე უნდა იღონონ ყველაფერი, რათა ადამიანის გონების მიღწევები, მეცნიერებისა და ტექნიკის სულ უფრო დაჩქარებული პროგრესი გამოყენებული არ იყოს ადამიანის საზიანოდ.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი — ქვეყანა, რომელმაც 25 წლის წინათ გაკვალა კოსმოსის გზა, ინიციატორი და მონაწილეა ყველა ამჟამად მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებისა, რომელთა მიზანი ის არის, რომ კოსმოსს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, კაცობრიობის საკეთილდღეოდ ვიყენებდეთ.

იმისათვის, რომ ეს ამოცანა რადიკალურად გადაწყდეს, საბჭოთა კავშირმა, როგორც ვფიქრობ თქვენ მოგეხსენებათ, ნინადადება წამოაყენა დაიდოს ხელშეკრულება კოსმოსურ სივრცეში ყოველგვარი იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ. ასეთი ხელშეკრულების პროექტი ჯერ კიდევ 1981 წლის აგვისტოში წარუდგინეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. საბჭოთა კავშირის ამ წინადადების განხორციელება, რომელსაც მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ, საიმედო დაბრკოლებას აღმართავდა იმ იდეების წინააღმდეგ, რომ კოსმოსი ადამიანისათვის სასიკვდილო საფრთხის წყაროდ გადაიქცეოს.

სამწუხაროდ, ამგვარი ხელშეკრულების პროექტზე მუშაობა განიარაღების კომიტეტში დღემდე არსებითად არ დაწყებულა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების პოზიციის გამო. უფრო მეტიც, ბოლოდროინდელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ გეგმებში, მათ შორის ამერიკის უმაღლესი ხელმძღვანელობის დონეზე გამოქვეყნებულ გეგმებშიც სამხედრო კოსმოსური ტექნიკის გამოყენებას სულ უფრო მზარდი როლი ეთმობა.

ახლა ნამდვილად დგება გადამწყვეტი მომენტი: ან დაინტერესებული სახელმწიფოები დაუყოვნებლივ მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას და ხელს მოაკიდებენ კოსმოსურ სივრცეში ყოველგვარი სახეობის იარაღის განლაგების ამკრძალავი ხელშეკრულების პროექტი. ავტორები ხალხებს აფრთხილებენ, რომ შეერთებული შტატები მალე დაიწყებს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის გამოცდას. როგორც კი გაჩნდება ასეთი იარაღის სისტემები ქვეყნების არსენალებში, ამტკიცებენ ისინი, შეიარაღებიდან მათი მოხსნა უკვე ძალზე გაძნელდება.

მოწოდების დასასრულს ნათქვამია: თუკი კოსმოსურ იარაღოდესმე უწერია აკრძალვა, ახლა, როგორც ჩანს, უკვე მივადექით იმ უკიდურეს ზღვარს, როცა ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია. ჩვენ სხვებთან ერთად მოვუწოდებთ შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს და სხვა ქვეყნებს, რომლებსაც კოსმოსში გასვლა შეუძლიათ, თავიანთ საკეთილდღეოდ და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ მიაღწიონ შეთანხმებას, რომელიც აკრძალავს კოსმოსში ყოველგვარი იარაღის განლაგებას, აგრეთვე ნებისმიერი სახელმწიფოს თანამგზავრებისათვის ზიანის მიყენებას თუ მოსპობას. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

27 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები და სპეციალისტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

განიხილეს 1983 წლის 18 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის პრაქტიკული საკითხები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა, რაც შეიძლება მოკლე დროში ქვეყის პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფა არა მარტო უპირველესი ეკონომიკური, არამედ აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაც არის. იგი მუდამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს ყურადღების ცენტრშია.

ამის მკაფიო დადასტურება გახდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი, რომელიც 18 აპრილს გაიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის თავმჯდომარეობით და რომელზეც განიხილეს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოს მოსთხოვა აქტიური მუშაობა გაშალონ სიძნელეთა დასაძლევად, მიაღწიონ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებას, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირის შედეგებს, აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ახლა განიხილავენ ყველგან, ქვეყნის ყველა რეგიონალურ პარტიულ ორგანიზაციაში. და დღეს ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ განვსაზღვროთ ამოცანები მოსკოვის თათბირზე წამოყენებულ პრობლემებთან დაკავშირებით, განვიხილოთ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ე. ა. შევარდნაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სასურსათო პროგრამა რესპუბლიკის პირობებში, როგორია მისი პრაქტიკული უკუგება და აღნიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქტის, მათ შორის ჩაის ფოთლის, ხილისა და ციტრუსის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის, კვერცხისა და სხვათა დამზადების გეგმა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა ამ ხნის მანძილზე შეადგინა 8,6 პროცენტი, რაც უზრუნველყოფს მთელი ხუთწლედისათვის დაგეგმილ წარმოების მოცულობის ზრდას 22 პროცენტის ოდენობით.

ეს გვინერგავს რწმენას, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს მთლიანად შევასრულებთ.

წარმატებანი დამაჯერებლად მოწმობს, როგორც ეფექტიანად და თანამიმდევრულად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივებში სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, სასურსათო პროგრამა. ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რათა შემდგომში კიდევ უფრო სრულად გამოვიყენოთ მეურნეობრიობის ახლად შექმნილი პირობები, ძირითადი ყურადღება დავუთმოთ გადაუწყვეტელ ამოცანებს.

გასულმა ორმა წელმა მოგვიტანა არა მარტო წარმატებანი, არამედ დიდი სირთულეებიც, ბევრი საზრუნავი. მათგან მთავარი დაკავშირებული იყო ზვრების დიდ ფართობზე ძლიერი სეტყვის შედეგად მოსავლის დაღუპვასთან, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა 1982 წლის გეგმის შესრულებაზე. ამას მოჰყვა ის, რომ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების ხუთწლედის ორი წლის გეგმის შესრულებას რესპუბლიკაში თითქმის 3,2 პროცენტი დააკლდა.

ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილის დაღუპვამ რთული პრობლემები შეუქმნა მთელ აგროსამრეწველო კომპლექსს. მაგრამ საერთო მეცადინეობით შევძელით სიძნელეების დაძლევა და, რაც ყველაზე მთავარია, დადასტურდა მართვის ახალი ორგანოების ცხოველუნარიანობა.

შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე თუ როგორ უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა, რას უნდა მივაპაროთ ახლა ძირითადი ყურადღება, კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გადავიდეთ მიწათმოქმედების ზონალურ სისტემებზე, რომლებიც, როგორც მეცნიერება და პრაქტიკა ადასტურებს, უხვი მოსავლის მიღებას უზრუნველყოფს. მიწათმოქმედების სისტემების დანერგვის რესპუბლიკური ზონალური კომისია სისტემატურად ამუშავებს სოფლის მეურნეობის ზონალური მართვის რეკომენდაციებს, რომლებმაც შეიძლება დიდი სარგებლობა მოუტანოს რესპუბლიკის მიწათმოქმედებს. მაგრამ ისინი ნელა ინერგება, ზოგჯერ კი სულაც არ გამოიყენება, წლობით დევს თაროებზე, მიწათმოქმედება კი ძველებურად წარმოებადა. და ეს მაშინ, როცა პარტია მოითხოვს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დანერგვის დაჩქარებას. როგორც ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირზე, ამოცანა ის არის, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში დავამთავროთ თესლბრუნვის ათვისება, გადავიდეთ ნათესების ისეთ სტრუქტურაზე, რომელიც უზრუნველყოფს ჰექტარზე პროდუქციის უმეტეს გამოსავლიანობას, ფართოდ დავნერგოთ კულტურების მოგლა-მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგიები და ნიადაგების დამუშავების ეფექტიანი ბერნები.

ამასთან დაკავშირებით სამართლიანი საყვედური გამოითქვა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მის ბაზაზე მომუშავე მიწათმოქმედების სისტემების დანერგვის რესპუბლიკური ზონალური კომისიის მიმართ, რომლებიც მხოლოდ შემუშავებული რეკომენდაციების გამოქვეყნებას სჯერდებიან. ამასთან თვით ეს რეკომენდაციებიც დიდი დაგვიანებით ქვეყნდება.

თუ რაოდენ საჭიროა მეცნიერული რეკომენდაციები ამას ადასტურებს მარცვლეულის მეურნეობის მაგალითი, ზაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

დიდძალ მარცვლეულს გვაკლებენ უკანასკნელ წლებში სიღნაღის, საგარეჯოს, წალკის, გუდაუთის, მახარაძისა და ზოგიერთი სხვა რაიონის, ქალაქ წყალტუბოს ზონის მეურნეობები. უკანასკნელ წლებში ბევრი მეურნეობისა და რაიონის ხელმძღვანელებს ხელმიშვებული აქვთ სამარცვლე მეთესლეობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ერთობ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეთესლეობა და თესლის ხარისხის განსაზღვრა, თუმცა 1977 წელს

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა აზერბაიჯანი 63 წლისაა

28 აპრილს აზერბაიჯანელმა მშრომელებმა აღნიშნეს თავიანთი დიდი დღესასწაული — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 63 წლისთავი. 1920 წლის ამ დღეს აზერბაიჯანის უძველეს მიწა-წყალზე აფრიალდა ოქტომბრის რევოლუციის წითელი დროშა, გამოცხადდა, რომ იშვა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სათავე დაედო აზერბაიჯანელი მშრომელების ბედნიერი ხანის დასაწყისს. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მონოლითურად დარაზმული აზერბაიჯანელი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი ადგას დიდი ლენინის ნაანდერძევ, ოქტომბრის იდეების შუქით გაცისკროვნებულ გზას, თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში.

სურათზე: ბაქო. ქალაქის ხედი ხ. მ. კიროვის სახელობის პარკიდან.

მ. ჩიანუროვის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

(დასასრული)

შეიქმნა სპეციალური გაერთიანება „საქთესლმრეწველი“, მოქმედებს თესლის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია, რომელსაც უზარმაზარი შტატი ჰყავს. კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, აგრეთვე ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მისი სპეციალური სამსახურების ხელმძღვანელები ყველაზე იოლ გზას დაადგნენ. დაიწყეს სხვა რესპუბლიკებიდან დიდძალი თესლის, მათ შორის არაკონდიციური და დაფრაიონებული თესლის შემოტანა მაშინ, როცა ადგილებზე ყველა პირობაა შექმნილი საკუთარი წარმოების თესლით მეურნეობათა უზრუნველყოფისათვის. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შემოტანილია 61 ათასი ტონა სამარცვლე და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლი, ანუ იმის ნახევარი, რაც რესპუბლიკას სჭირდება.

შარშან სამეცნიერო საფუძველზე თესლის წარმოების გადაყვანისათვის შეიქმნა რესპუბლიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“, რომლის ხელმძღვანელობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს და, ვიმედოვნებთ, უახლოეს ხანში გადაწყდება მეთესლეობის საკითხები. მაგრამ ამან არ უნდა შეუქმნას რაიონების ხელმძღვანელებს სხვისი მოიმედეობის განწყობილება. საქმე ადგილიდან მხოლოდ მაშინ დაიძრება, თუ თვით მეურნეობებში მოაგვარებენ თესლის რეპროდუქციას. მიწამთმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს სიმინდის მარტივი ჰიბრიდების სამამულო ჯიშები, რომლებიც მოსავლიანობით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთელ ჯიშებს. ეს დიდი საქმეა. მაგრამ ამ თესლის წარმოებაში გაუგებარი სიძნელენი წარმოიშვა. ეტყობა, მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელებს უბრალოდ არ სურთ თავი შეიწუხონ ამ თესლის წარმოებით და ამავე დროს სიამოვნებით აყენებენ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ასეთი თესლის შემოტანის საკითხებს. ამ მხრივ სერიოზულად ვერ მივიჩნევთ გარდაბნის რაიონის, იმ რაიონის ხელმძღვანელთა ვერავითარ ახსნა-განმარტებას, რომელიც აღიარებული სოფლის მეურნეობის მეცნიერების პოლოგოდ, მაგრამ დღემდე ვერ გამოუყვიათ 240 ჰექტარი მიწა სიმინდის მარტივი ჰიბრიდების თესლის წარმოებისათვის.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებასა და დამზადებას. აღინიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე ამ სფეროში რიგიანი შედეგებია მიღწეული. 10 წელიწადში მთა წარმოება გაორკეცდა, შესაძრნევად გაიზარდა დამზადებაც. ამის შედეგად ახლა თბილისის, რუსთავისა და სხვა ქალაქების მაღაზიებში მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად იყიდება ბოსტნეული, კარტოფილი და ხილი. ათი წლის წინათ არც კი დაიჯერებდნენ, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა. ახლა ეს გარანტირებულია რესპუბლიკის ბევრი რაიონის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მუშაობით. საყვედურს იწვევს მხოლოდ პროდუქციის ხარისხი, თანაც სავსებით სამართლიანს. ამიტომ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების გადიდებასთან ერთად ჩვენი მებოსტნეებისა და მეკარტოფილეების მთავარი ამოცანაა პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება.

მეკვნახეობისა და მებაღეობის მდგომარეობა ბევრად განსაზღვრავს მთლიანად სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებას: ეს ტრადიციული დარგები „ქმნიან ამინდს“ მთელი რესპუბლიკისათვის, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

უეჭველია, სტიქიამ შარშან დიდი ზიანი მიაყენა მეკვნახეობის ბაღურ მეურნეობას და მთელ რაიონებს. მაგრამ განა შეიძლება მხოლოდ სტიქიას დავაბრალოთ ყველა დანაკარგი, რომელიც მეკვნახეობამ განიცადა ბოლო ორ წელიწადში? ვერავითარი სტიქიური მოვლენებით ვერ ახსნინან თელავის, საგარეჯოს, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების ხელმძღვანელები იმ ფაქტს, რომ ამ რაიონებში შარშან ყურძნის დამზადების გეგმა ვერ შესრულდა.

ამასთან, იქაც კი, სადაც სტიქია განსაკუთრებით ბობოქრობდა, სოფლის მშრომელებმა შეძლეს დაეპირისპირებინათ მისთვის სიმტკიცე და გულმოდგინე, თავდადებული, ზნირად კი გმირული შრომა, როგორც, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში, სადაც, ყველა სიძნელის მიუხედავად, სახელმწიფოს 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდეს. ეს, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რთულ პირობებში ზოგიერთი მუშაკი ეძებს და პოულობს სიძნელეთა დაძლევისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების გზებს, ხოლო ზოგიერთი ასეთი პირობებით ცდილობს გაამართლოს მუშაობის სერიოზული ხარვეზები.

ჩვენში გაჩნდნენ თავისებური სკეპტიკოსები, რომლებსაც ყურძნის დამზადების მიმდინარე წლის შემცირებული გეგმის შესრულებაც კი საეჭვოდ მიაჩნდათ, ვითომდა იმიტომ, რომ იგი არარეალურიაო. ასეთი განწყობილება გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ.

გეგმა სავსებით რეალურია, და იგი უნდა შევასრულოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. გეგმის რეალობის გარანტიას იძლევა კარგად მოგვარებული, ერთსულოვანი, შეთანხმებული მუშაობა, გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარი დანაკარგების წინააღმდეგ, მაგალითად, ისეთი დანაკარგებისა, როგორიცაა ახალგაზრდა ვენახების სიმეჩხრე, რომელიც აზმატის რაიონში შეადგენს 35-40 პროცენტს, თელავის რაიონში — 28-30, ყვარლის — 25, მცხეთის — 37, კასპის რაიონში — 37-40 პროცენტს და ა. შ. ეს სხვა არა არის რა, თუ არა საქმისადმი უპასუხისმგებლო, დაუდეგარი დამოკიდებულების შედეგი.

თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მებაღეობის მდგომარეობა. თუმცა შარშან მთლიანად ხილის დამზადების გეგმა შესრულდა, მაგრამ ამას არ უნდა დავჯერდეთ, რადგან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოს 40 ათასი ტონა ხილი დააკლეს. დამფიქრებელია ის, რომ უკვე მრავალი წელია კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში საშუალო პროექტარობრივი მოსავლიანობა 32-36 ცენტნერს არ აღემატება. გამოანგარიშებულია, რომ ხეხილის ბაღების მოვლის ღონისძიებათა კომპლექსის უხარისხო და დაგვიანებული განხორციელების შედეგად დანაკარგები 100-150 ათას ტონა ხილს შეადგენს.

ამოცანა ის არის, რომ 1983 წელი მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებაში შემობრუნების წლად გადავაქციოთ. ამას უნდა მოხმარდეს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა მეცადინეობა, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა.

მევენახეობასთან, მეხილეობასთან და მეციტრუსეობასთან ერთად ჩვენი სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეჩაიეობა, რომელიც ბერეთვე განსაზღვრავს რესპუბლიკის ადგილს შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ იდრეთადად მეჩაიეობის მეურნეობები და ჩაის ფაბრიკები მზად არიან ხარისხოვანი ფოთლის კრეფისა და გადამუშავებისათვის.

მაგრამ აქაც არის პრობლემები. მთელ რიგ მეურნეობებსა და ცალკეულ ჩაის ფაბრიკებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია. მათი აღმოფხვრა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. ამ ამოცანათაგან უმთავრესი ის არის, რომ ჩაის კრეფისა და გადამუშავების დაძაბული გეგმების შესრულება მჭიდროდ იყოს შებამული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლასთან. გასული წლის ამინდის პირობებმა არ მოგვცა საშუალება ქარიული ჩაის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ლოგიკურ დასასრულამდე მიგვეყვანა. ამას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ახლა.

არც ისე შემაშფოთებელია მეციტრუსეობის მდგომარეობა, რადგან ორ წელიწადში ციტრუსების დამზადების გეგმა 154 ათასი ტონის გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ აქაც არის გადასაწყვეტი საკითხები. ესაა საზოგადოებრივ მეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებში ციტრუსის წარმოების თანაფარდობა. რატომ მოხდა, რომ, ვთქვათ, მახარაძის საზოგადოებრივ მეურნეობებში ციტრუსის ბაღების საშუალო მოსავლიანობამ 1976-1982 წლებში შეადგინა ჰექტარზე მხოლოდ 73 ცენტნერი, მოსახლეობაში კი 230 ცენტნერი, მათ შორის 1982 წელს — შესაბამისად — 40 და 236 ცენტნერი?

კიდევ უფრო დიდი ჩამორჩენაა ისეთ დიდ მეურნეობებში, როგორიცაა შრომისა და ნატანების კოლმეურნეობები, ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა, სხვა მეურნეობები. ასეთივე სურათია აჭარის ასრ რესპუბლიკაში და თითქმის მთელ მეციტრუსეობის რეგიონში. და ეს მაშინ, როცა საზოგადოებრივ მეურნეობებში მუშაობენ საუკეთესო სპეციალისტები, აქვთ ნარგავების დაცვის საუკეთესო საშუალებები, მეურნეობებს პირველ რიგში უზრუნველყოფენ სასუქებით, ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვს დამყარდეს სახელმწიფო წესრიგი ციტრუსის წარმოებასა და დამზადებაში, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივ მეურნეობებში მოწეული პროდუქციის სრული დაცვა-შენახვა. ამავე დროს, სპირალი უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ციტრუსების წარმოების გადიდების ისეთი არხები, როგორიცაა მოსახლეობასთან ამ მეურნეობათა კოოპერირება.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა საჭიროა გააძლიერონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურად ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგებისადმი ხელმძღვანელობა, როგორიც არის მეთამბაქოეობა და ეთერზეთოვანი კულტურების თესვა-მოყვანა. შექმნან ამ დარგების შემდგომი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამები.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში, უხვი, გარანტირებული მოსავლის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მიწების მელიორაციასა და მელიორირებული ფართობების ეფექტიან გამოყენებას, ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვას.

ამჟამად მელიორირებული მიწების ფართობი რესპუბლიკაში 540 ათას ჰექტარს აღემატება, რაც მთელი დამუშავებული მიწების დაახლოებით ნახევარს შეადგენს. შემდგომში მიწების მელიორაციის ტემპი გაიზრდება.

მაგრამ ხშირად მელიორირებულ მიწებს დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ. მათი ფართობები იზრდება, ამისთვის უდიდესი სახსრები იხარჯება, მოსავალი კი არ მატულობს.

ახლა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით, მდგომარეობა, რა თქმა უნდა, შეიცვლება. მელიორატორები სხვა სასოფლო-სამეურნეო სამსახურების მუშაკებთან ერთად ამიერიდან პასუხს აგებენ სარწყავ მიწებზე უხვი მოსავლის მოწეულობისთვის და, მაშასადამე, უფრო ღრმად ჩასწვდებიან საქმეს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მეცხოველეობა, ხაზი გაუსვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. მისი განვითარება არა მარტო განსაზღვრავს ეკონომიკის დონეს, არამედ დაკავშირებულია კიდეც მოსახლეობის ყველაზე საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებასთან. აქედან გამომდინარეობს ცენტრალური კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნა ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოსადმი, რომ ამ დარგს უაღრესად დიდი, შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ, რადგან რაც დღეს მეცხოველეობაში დაგვაკლდა, ხვალ ვეღარ ავიანაზღაურებთ.

უკანასკნელი წლების მანძილზე ამ სფეროში რესპუბლიკაში მიღწეულია გარკვეული ძვრები, გაიზარდა ღორისა და ფრინველის სულადობა, ხორცისა და კვერცხის წარმოება, ყველა სახეობის მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. ამავე დროს, ძძიმე მდგომარეობა იქმნება, ისევე როგორც წინათ, მესაქონლეობაში, უწინარეს ყოვლისა — სარძეო მესაქონლეობაში. ეს ნიშნავს, რომ მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები სათანადოდ არ ზრუნავენ ჯოგის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ჩასაყენებელი ხბორების გამოზრდისათვის, არ წარმოებს ბრძოლა ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ.

მთელ რიგ რაიონებში პირდაპირ თვითდინებაზეა მიშვებული პირუტყვის სუქება და მისი საჭირო წონისა და კონდიციის უზრუნველყოფა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ჩვენი რესპუბლიკა დასახელებული იყო იმათ შორის, რომლებიც სახელმწიფოს მცირე წონის პირუტყვს აბარებენ. და ეს კრიტიკა სავსებით სამართლიანია. ეს, მრავალი თვალსაზრისით, წითელწყაროს, დუშეთის, მარნეულის, ლაგოდეხის, ქარელის, თერჯოლისა და სხვა რაიონების ხელმძღვანელების ბრალია, სადაც საქონლის საშუალო სადღეღამისო წონამატებამ ამა წლის პირველ კვარტალში მხოლოდ 100-225 გრამი შეადგინა. ისეთ მეცხოველეობის რაიონშიც კი, როგორიცაა წალკის რაიონი, სახელმწიფოსათვის ჩაბარებულმა პირუტყვის საშუალო ცოცხალმა წონამ მხოლოდ 217 კილოგრამი შეადგინა.

პირუტყვის კვებისა და სუქების სწორი ორგანიზაცია ხორცის მნიშვნელოვანი რაოდენობის დანაკარგების ახალდაურების პირდაპირი გზაა.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მეღორეობაში ნამატის მიღების მხრივ. მთელი მეათე ხუთწლედის განმავლობაში ყოველ 100 ნეზვზე წელიწადში საშუალოდ მიღებულია დაახლოებით 970 გოჭი, ქვეყნის მოწინავე რეგიონებში კი ეს მაჩვენებელი 1500-1800 აღწევს.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საფუძველია მტკიცე საკვები ბაზა. ამ სფეროში დაგსახა დადებითი ძვრები. მაგრამ ჩვენი საკვებწარმოება ვერ უზრუნველყოფს მეცხოველეობის მზარდ მოთხოვნილებებს როგორც ოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. ამაზე გავლენას ახდენს ის, რომ მთელი რიგი რაიონებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ აფასებენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, ისინი თავიანთ საზრუნავს სახელმწიფოს აკისრებენ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ ადგილებზე დროულად წყდებოდეს წამოჭრილი პრობლემები, უკეთ იყენებდნენ შინაგან რეზერვებსა და შესაძლებლობებს. ამხანაგები აქტიურად უნდა მოქმედებდნენ იმისათვის, რომ მეცხოველეობის უზრუნველყონ საკუთარი წარმოების უხვი და წვნიანი საკვებით. სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების სპეციალიზაციის პირობებში საკვები ბაზის შექმნის ძირითადი პრობლემა უნდა გადაწყდეს ყოველი ჰექტარი საკვები კულტურების ნათესის მაქსიმალური უკუგებიან, ბუნებრივი საკვები სავარგულების ფონიერული გამოყენების გზით.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების პრობლემებს. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში გაწეულია დიდი მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ენერგეტიკულ სიმძლავრეთა გადიდებისათვის, თუმცა ამ მაჩვენებლის მიხედვით იგი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. მიუხედავად ამისა, შრომის ენერგოტევადობა ერთეულზე ორჯერ ნაკლებად მატად გაიზარდა, ტრაქტორების პარკის სიმძლავრე — ერთისამად, ხოლო ტრაქტორების რიცხვი თითქმის გაორკეცდა. მაგრამ ტრაქტორებისა და კომბაინების გამოყენების მაჩვენებლები კვლავ საშუალო საკავშირო მაჩვენებლებზე დაბალია.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს სიღნაღისა და თეთრწყაროს რაიონებში, სადაც შექმნეს ორი უგანწესო მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო მექანიზაციური ბრიგადებ, რომლებიც თანამიმდევრულად იღებენ მარცვლეულის მოსავალს რაიონებში, ასე ვთქვათ, ვერტიკალურ-ზონალური თანამიმდევრობით. ამ ბრიგადების მუშაობის შედეგები ერთობ დამაიმედებელია. მათი და აბაშის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, დმანისის რაიონების უგანწესო ბრიგადების გამოცდილება მოწმობს, თუ ტექნიკის გამოყენების დონის ამაღლებისა და პროდუქციის წარმოების, გადიდების რა დიდ რეზერვებს შეიცავს შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები. ამიტომ ბრიგადების წარმატებული მუშაობისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ამ ორგანიზაციული ფორმის გამოყენების საფრთოა საასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, პარტიის რაიკომების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

სოფლად ტექნიკის ეფექტიან გამოყენებას ძალზე აბრკოლებს მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების ძიუხედავად ეს პრობლემა ნელა წყდება. მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა წითელწყაროს, თელავის, ახალციხის, მცხეთის, სამტრედიის, ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონებში, ქალაქ წყალტუბოს ზონაში, სადაც 100 ტრაქტორზე 64-დან 84-მდე ტრაქტორისტი მოდის. და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დაადგა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზას.

თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს კადრების მომზადების ხარისხი. დადგა დრო გადაჭრით უკუვაგდოთ ამ საქმისადმი ფორმალური მიდგომა, ძირეულად გადავსინჯოთ მექანიზატორთა მომზადებისა და გადამზადების მეთოდიკა.

ჩვენში ჯეროვნად ვერ უვლიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც. ნაადრევად ჩამოწერენ ხოლმე მანქანებსა და იარაღს. ეს სახალხო დოვლათისადმი უყაირათო, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენაა.

ნამდვილად სახელმწიფო საფუძველზე უნდა დავაყენოთ საქმე სარემონტო საწარმოებში, ტექნიკური მომსახურების სადგურებსა და ტექნიკურ გაცვლითს პუნქტებში. მეტად უნდა ვიზრუნოთ სამუშაოებისა და მომსახურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. წლითიწლობით ვერ სრულდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კაპიტალური რემონტის გეგმები. სულ უფრო იზრდება ტრაქტორების, ავტომობილებისა და ტრაქტორების ძრავების კაპიტალური შეკეთების ღირებულება, ეს საშუალოები კი მხოლოდ 50-70 პროცენტით სრულდება.

სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება, ხაზი გაუსვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე. ამიტომ მეტად საჭიროა გავზარდოთ მეურნეობების რენტაბელობა, რაციონალურად გამოვიყენოთ ის უდიდესი სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო გამოუყოფს მათ.

საზოგადოებრივი მეურნეობების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, ისევე როგორც მთელ საქმიანობას, მეცნიერული საფუძველი უნდა შეეუქმნათ.

ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ აგრარული მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ ფარავს სოფლის მეურნეობის მზრომელთა წინაშე. ამის შესახებ განსაკუთრებული სკკ-ბაასი გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე, რომლის შემდეგ დაისახა და უკვე ზორციელდება მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შარშან ხობის რაიონის ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობასთან დადო ხელშეკრულება შემოქმედებითი თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ. ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობამ სოფლის მოსავლიანობა გაზარდა ჰექტარზე 7 ცენტნერით, სიმინდისა — 8 ცენტნერით. ფულადმა შემოსავალმა 104 ათასი მანეთით იმატა. ამ თანხიდან ინსტიტუტს გადაერიცხა 52 ათასი მანეთი. ახლა ინსტიტუტი ხობის რაიონის ყველა მეურნეობის პარტნიორი გახდა.

ეს მაგალითი მისაბაძია, და მას უნდა მიბაძონ სხვა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, ხოლო ყველა რაიონის ხელმძღვანელებმა უნდა მოამზადონ ბაზა ახალი მეცნიერული ნამუშევრების დასანერგად.

რესპუბლიკაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მეცნიერულ საფუძველზე ხდებოდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა. იგულისხმება ფართოდ განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საჭირო ეკონომიკური პირობები, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის მწყობრი სისტემა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე საგანგებოდ აღინიშნა მართვის ახალი ორგანოების — აგროსამრეწველო გაერთიანებების როლი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სასურსათო პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებაში, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი უბრალო პროცესი არ არის. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების ფორმირებაში სორიულად გადავსინჯოთ ამ საქმისადმი ფორმალური მიდგომა, ძირეულად გადავსინჯოთ მექანიზატორთა მომზადებისა და გადამზადების მეთოდიკა.

ჩვენში ჯეროვნად ვერ უვლიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც. ნაადრევად ჩამოწერენ ხოლმე მანქანებსა და იარაღს. ეს სახალხო დოვლათისადმი უყაირათო, უპასუხისმგებლო დამოკიდებულის გამოვლენაა.

ნამდვილად სახელმწიფო საფუძველზე უნდა დავაყენოთ საქმე სარემონტო საწარმოებში, ტექნიკური მომსახურების სადგურებსა და ტექნიკურ გაცვლითს პუნქტებში. მეტად უნდა ვიზრუნოთ სამუშაოებისა და მომსახურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. წლითიწლობით ვერ სრულდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კაპიტალური რემონტის გეგმები. სულ უფრო იზრდება ტრაქტორების, ავტომობილებისა და ტრაქტორების ძრავების კაპიტალური შეკეთების ღირებულება, ეს საშუალოები კი მხოლოდ 50-70 პროცენტით სრულდება.

სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება, ხაზი გაუსვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე. ამიტომ მეტად საჭიროა გავზარდოთ მეურნეობების რენტაბელობა, რაციონალურად გამოვიყენოთ ის უდიდესი სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო გამოუყოფს მათ.

საზოგადოებრივი მეურნეობების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, ისევე როგორც მთელ საქმიანობას, მეცნიერული საფუძველი უნდა შეეუქმნათ.

ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ აგრარული მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ ფარავს სოფლის მეურნეობის მზრომელთა წინაშე. ამის შესახებ განსაკუთრებული სკკ-ბაასი გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე, რომლის შემდეგ დაისახა და უკვე ზორციელდება მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შარშან ხობის რაიონის ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობასთან დადო ხელშეკრულება შემოქმედებითი თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ. ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობამ სოფლის მოსავლიანობა გაზარდა ჰექტარზე 7 ცენტნერით, სიმინდისა — 8 ცენტნერით. ფულადმა შემოსავალმა 104 ათასი მანეთით იმატა. ამ თანხიდან ინსტიტუტს გადაერიცხა 52 ათასი მანეთი. ახლა ინსტიტუტი ხობის რაიონის ყველა მეურნეობის პარტნიორი გახდა.

ეს მაგალითი მისაბაძია, და მას უნდა მიბაძონ სხვა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, ხოლო ყველა რაიონის ხელმძღვანელებმა უნდა მოამზადონ ბაზა ახალი მეცნიერული ნამუშევრების დასანერგად.

რესპუბლიკაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მეცნიერულ საფუძველზე ხდებოდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა. იგულისხმება ფართოდ განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საჭირო ეკონომიკური პირობები, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის მწყობრი სისტემა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე საგანგებოდ აღინიშნა მართვის ახალი ორგანოების — აგროსამრეწველო გაერთიანებების როლი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სასურსათო პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებაში, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი უბრალო პროცესი არ არის. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების ფორმირებაში სორიულად გადავსინჯოთ თვის დროზე ჩვენც გვქონდა, მაგრამ ახლა იგი ძირითადად დასრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მთავრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ახალი რესპუბლიკური ორგანოს — სახელმწიფო კომიტეტის ფორმირებაც. უკვე მისი პირველი ნაბიჯები გვიჩვენებს, რომ ამ კომიტეტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ამოლუტურად სწორი და დროულია.

შექმნილია აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის მწყობრი ფორმა რაიონული რგოლით დაწყებული და რესპუბლიკური ორგანოებით დამთავრებული. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სახით ჩვენ გვაქვს სოლიდური, სრულფასოვანი, კომპეტენტური მუშაკებით დაკომპლექტებული მართვის ორგანო, რომლის ხელში თავმოყრილია ყველაფერი იმისათვის, რომ არა მარტო გადავწყვიტოთ ცალკეული პრობლემები, არამედ უხანრიანად ემართოთ კიდეც სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის მუშაობა. პარტიის რაიონულ კომიტეტებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი საქმიანობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ ორგანიზატორული და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაზე.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მუშაობას კადრებთან, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებთან, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან, გულდასმით და დაუყოვნებლივ უნდა გავერკვეთ რამდენად შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს კადრების მომზადებისა და გადამზადების არსებული სისტემა, და განვახორციელოთ მისი სრულყოფის ღონისძიებანი, რათა სოფლის ხელმძღვანელი კადრები ნიადაგ იფართოვებენენ გონებრივ ჰორიზონტსა და სპეციალურ ცოდნას, იყვნენ სტაბილური.

რესპუბლიკაში წლევანდელი წელი კვლავ გარკვეული სიძნელეებით დაიწყო. მაგრამ თუ საერთო მაჩვენებლების მიხედვით ვიმსჯელებთ, მთლიანად საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჩვენში გაცილებით უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში, უკეთესი მაჩვენებლებით მთავრდება პირუტყვის გამოზამთრებაც.

შესამჩნევად იზრდება სოფლის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, მტკიცდება პარტიული და სახელმწიფოო დისციპლინა, ფართოდ ინერგება შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები. უფრო აქტიურად ვაქცევთ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომითს რესურსებს, უფრო მტკიცედ მიმდინარეობს ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ.

ახლა, ჩვენ ყველამ, რესპუბლიკის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტით დაწყებული და პირველადი პარტიული ორგანიზაციებით დამთავრებული, მიმდინარე წლის მოსავლის უზრუნველყოფასთან, მეცხოველეობის შემდგომ ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებულ მთელ მუშაობას მუდმივი და შეუნელებელი კონტროლი უნდა დავუწესოთ. ახლა ამას უნდა ხმარდებოდეს მთელი ჩვენი ძალები, პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირების, კომკავშირის, პრესის, ტელევიზიის, რადიოს, მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობა, რომლებმაც მთელი თავიანთი საქმიანობა უნდა დაუქვემდებარონ გადამჭრელ ბრძოლას ნაკლოვანებების წინააღმდეგ, იღვაწონ მაღალი საბოლოო შედეგების მოსაპოვებლად.

ამოცანები, რომლებიც უნდა განვახორციელოთ სოფლის მეურნეობაში, მოითხოვს, რომ პარტიული ორგანიზაციებიც, ბევრ ადგილას ასეთ ... ბაში იყოს მეტი სიმტკიცე, კონკრეტულობა და გეგმიერობა, იმის უნარი, რომ რთულ პირობებშიც ვპოულობდეთ გზებს იმ გეგმების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, ქვეყნის სასურსათო პროგრამიდან.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ა. ოდიშვილი, პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ლ. ბატაშვილი, პარტი

„კოლხეთმშენის“ ტრესტის 50 წლისთავის გამო

ალორძინებული მიწა

ორი ათას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს ლეგენდას თვალწარმტაცი, მდიდარი კუთხის — კოლხეთის შესახებ. ოქროს ვერძის სამშობლო ოდითგანვე იყო ცნობილი როგორც ნაყოფიერი და მდიდარი, განვითარებული სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მხარე. ამიტომაც წერდნენ ასე გატაცებით მასზე სტრაბონი, ჰეროდოტე, თუ უძველესი დროის მოგზაურები, მწერლები და ისტორიკოსები.

მაგრამ მათს ნაწერებშივე ჩანს ამ კუთხის დაჯაბებულ დაბლობ ნაწილში მალარიით გაწამებულ მცხოვრებთა უბადრუკი და უსიხარულო ყოველდღიურობაც. კოლხეთის დაბლობის დაშრობა კი საუკუნეების განმავლობაში აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. „ფოთის გარშემო ათეულ ვერსზე არსებული ჭაობების დაშრობა მოითხოვს დიდ ხარჯებს. ფოთს რომ გააჩნდეს შემოსავლის მუდმივი წყარო, იგი შეძლებდა თავისი მცდელობების დაშრობას, არსებული ჭაობების, ისეთ ჯანსაღ, აყვავებულ მხარედ გარდაქმნას, როგორითაც ამაყობს ლომბარდიის დაბლობი“.

დიდი მამულიშვილის ნიკო ნიკოლაძის ეს ოცნება ახდა და კოლხეთის დაბლობის ახალი სიცოცხლე დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 1931 წლის მიწურულს პარტიის დავალებით იქ სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად „კოლხეთმშენის“ სპეციალური სამმართველო ჩამოყალიბდა (იგი 1966 წელს ტრესტად გადაკეთდა). იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მისი კოლექტივის დიდი შრომა, კოლხეთის დაბლობის დაშრობის საქმეში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლები შარშან სამშობლოს ჯილდოთი — „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით აღინიშნა.

კოლხეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1940 წელი, როდესაც კომუნისტური პარტიისა და ქვეყნის მთავრობის მითითებათა შესაბამისად სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა კოლხეთის დაბლობზე 39387 ჰექტარი ფართობის დაშრობის პირველი რიგის ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი. უკვე 1954 წელს სახელმწიფო კომისიამ 39555 ჰექტარი დაშრობილი ფართობი ჩაიბარა.

მომდევნო წლებში სულ უფრო მატულობდა კოლხეთის დაშრობის სამუშაოთა ტემპი, მაგრამ აქ არსებითი გარდატეხა მოხდა 1972 წლიდან. კოლხეთის პრობლემათა პრაქტიკულ გადაჭრას დაუდო საფუძველი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დადგენილებამ „კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების შესაბამისად შემუშავდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართო კომპლექსური პროგრამა, დაზუსტდა და დაკონკრეტდა სამელიორაციო სისტემათა დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის, დაშრობილი ფართობების ინტენსიური ათვისების მნიშვნელოვანი საკითხები; მან აგრეთვე საგრძნობლად გააქტიურა შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობაც, რამაც ხელი შეუწყო მრავალი საკვანძო პრობლემის გადაჭრას.

ამ მხრივ ძალზე კარგი და სასარგებლო საქმე გაკეთდა აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის შექმნითაც, რომელმაც საგრძნობი წვლილი შეიტანა კოლხეთის დაბლობში სამელიორაციო სამუშაოებისა და მელიორირებული მიწების გამოყენების ძირითად მიმართულებათა შემუშავებაში. და კიდევ ერთი ფაქტორი: საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სამუშაოთა მასშტაბების ზრდაზე ერთობ დადებითი გავლენა იქონია მისმა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენისადმი“ დაქვემდებარებამ.

კოლხეთის დაბლობზე სამელიორაციო სამუშაოთა ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დროის მოთხოვნას. ამის თაობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა კეთდება ზემოაღნიშნული ერთობ მნიშვნელოვანი დადგენილების შესასრულებლად, ვთხოვეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის თავისი მოსაზრებანი გაეზიარებინა „კოლხეთმშენის“ ტრესტის მმართველს ბ. ინასარიძეს.

— პარტიისა და მთავრობის დადგენილების მოთხოვნათა ხორციშესხმისათვის ტრესტის კოლექტივი დღენიადაგ ზრუნავს, — გვითხრა ტრესტის მმართველმა. — ამისათვის სათანადო პირობები გვაქვს შექმნილი. ჩვენს განკარგულებაშია მიწასათხრელი და სამშენებლო ტექნიკის საკმაოდ მძლავრი პარკი, წარმოებაში ფართოდ ინერგება ახალი მანქანები, სათანადო ყურადღება ექცევა მელიორატორთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ყოველივე ეს გვიქმნის საშუალებას შევასრულოთ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი — საექსპლოატაციოდ გადავცეთ 35 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწა.

განვლილი 50 წლის მანძილზე „კოლხეთმშენის“ ტრესტმა შეასრულა დაახლოებით 300 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ხალხის სამსახურში ჩადგა 87.485 ჰექტარი ფართობი, 48861 ჰექტარზე რეკონსტრუირებულია დამშრობი სისტემა და სხვ. ამ მიწებზე დაარსდა მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ეთერზეთებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების, მებოსტნეობის, მეცხოველეობის 38 საბჭოთა მეურნეობა. მათ გარდა დაშრობილ მიწებზე მოქმედებს აგრეთვე 21 კოლმეურნეობა და 4 მეცხოველეობის კომპლექსი, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებსაც მოჰყავთ დიდძალი ჩაი, ციტრუსები, დაფნა, ტუნგი, სიმინდი, სოია, ტურნეფსი, რაფსი და სხვა სუბტროპიკული თუ პირუტყვის საკვები კულტურები. „კოლხეთმშენმა“ დაშრობილ მიწებზე ააშენა მრავალი ნაგებობა, სკოლა, ტექნიკუმი, სასტუმრო, გაიყვანა წყალსადენი და სხვ.

კოლხეთის დაბლობზე მიწათმოქმედების განვითარებას თავდადებით ემსახურებიან ოცამდე ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის საგანგებოდ აღსანიშნავია ბ. გოგიას, მ. კუზნეცოვის, გ. გეგეჭკორის, გ. ზამბახიძის, ი. ლაღიძის, ა. გეფრჭოვის ა. ბიჩკაიას, ა. საჯაიას ა. მოწერელიას. გ. სერბინის, მ. ცაიცევის, ფ. ფედოტოვის, მ. ნარსიას, ვ. ზუბეცის, ნ. გუჯაბიძის და სხვათა შემართებული შრომა.

დიახ, წარჩინებული და სამაგალითო ხალი ტრესტში ბლომად არის, და მით უფრო სასიხარულოა, რომ ვეტერანების საქმეს ღირსეულად განაგრძობენ ახალი თაობის ადამიანები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

რ. რუსია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ხობის რაიონის №6 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი გ. ჩიქოვანი, უფროსი სამშენებლო მწარმოებელი ი. ინჯიბაშვილი და ოსტატი გ. სახოკია კოლხეთის სამშენო უბანზე.

ი. ბოსოლიანის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზესტაფონის თავზე კამკამა ცაა

(დასასრული)

ერთობლივი და კოორდინირებული მოქმედების საფუძველი გახდა კომპლექსური შეჯიბრება „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით: „ურთიერთპრეტენზიებიდან ურთიერთდახმარებისა და — მხარდაჭერისაკენ“.

№ 4 უზარმაზარი საამქრო ხანზარეს რვა სადნობ ღუმელში აბობოქრებული ცეცხლისაგან. მაგრამ მისი ამ კოლოსალური სიდიდის გვერდითაც კი გაბსწყმენდის ახალი კომპლექსი ერთობ შთამბეჭდავად გამოიყურება. მრავალ მეტრ სიმაღლეზე აზიდული მისი კონსტრუქციები. დამცველ ჩაჩქანებიანი ადამიანები საბოლოოდ დაკვრებიან ამოწმებენ ყოველ შენაღურთს, ყოველ ქუროს, ყოველ შენაღეულ ნაკერს, ეს მათი დღესასწაულია, რომელიც აჯამებს დაძაბულ სამუშაო დღეებს.

საქართველოს დიდი ინდუსტრიული ცენტრის მეტალურგებისა და მშენებლების, ყველა მცხოვრების დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ნიკოლაძემ. — და მთელი ამ წლების მანძილზე მე, ჩემი ამხანაგები, ისევე, როგორც ამ რეგიონის ყველა მცხოვრები, შეიძლება ითქვას, მანგანუმის მტვერით ვსუნთქავდით. ახლა დაუჯერებელიც კია, რომ ზესტაფონის თავზე კამკამა ცაა. ისეთი ზრუნვა, ისეთი ყურადღება, როგორც უკანასკნელ წლებში, არასოდეს გვიგვრძნია. გულწრფელ მუშურ-გლეხურ მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ზესტაფონისა და მისი რაიონისათვის ამ უდიდესი სოციალური პრობლემის გადაწყვეტაში, დიდ მადლობას მოვახსენებთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გაზსაწმენდ ნაგებობათა ამოქმედების გამო გაიმართა ხალხმრავალი საზეიმო მიტინგი.

მუშათა ჯგუფმა მიტინგზე გამოიტანა გამოუცდელი ხელით დახატული პლაკატი: კამკამა ცა ქალაქის თავზე, რომელზეც ქრება შავი კვამლის ზოლი. პლაკატზე წარწერილია ხალხური სიმღერის სიტყვები: „ზესტაფონო, ზესტაფონო, გშორდები...“

და თუმცა ეს პლაკატი ოსტატის ხელით არ არის შესრულებული, სამაგიეროდ რაოდენ ღრმა აზრი, როგორი თბილი იუმორი ჩაქსოვეს მასში ავტორებმა!.. ზესტაფონი გამოემშვიდობა მომწამვლელი კვამლის უკანასკნელ ამონაბოლქვს...

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ა. ასლანიაშვილმა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს გ. ვ. კოლბინს.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაზსაწმენდ ნაგებობათა კომპლექსის ამუშავება, თქვა ამხანაგმა კოლბინმა, საგულისხმო და სასიხარულო მოვლენაა არა მარტო თვით საწარმოს კოლექტივისათვის, იმ რაიონის მშრომელებისათვის, სადაც იგი აიგო, არამედ მთელი რესპუბლიკისათვისაც. ეს რთული საინჟინრო ნაგებობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეცნიერულ-ტექნიკური აზრის თანამედროვე მიღწევები, შემჭიდროებულ ვადებში აშენდა.

დიდი ახალშენებლობის წარმატებით დამთავრება მეტალურგთა, მშენებელთა, მემონტაჟეთა ძალების გაერთიანების, მიზანდასახული შრომის, აგრეთვე ქარხნის განახლების, ხელახალი ტექნიკური აღჭურვის დასახული პროგრამის უსწრაფესად განხორციელების როგორც რესპუბლიკური ორგანიზაციების, ისე საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ორგანიზაციათა და საწარმოთა ღრმა ურთიერთდაინტერესების შედეგია.

ეს მოვლენა განსაკუთრებით სამახსოვრო და საგულისხმოა იმითაც, რომ ცა ზესტაფონის თავზე აღარ დაიფარება კვამლის ბოლქვებით, რაც ასე დამახასიათებელი იყო ქალაქის პანორამისათვის. ამიერიდან ფეროშენადნობთა ქარხანაა მთლიანად შეწყვეტს ჰაერის აუზში ნარჩენების ამოფრქვევას.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქარხნის საწმენდ ნაგებობათა კომპლექსი თვისებრივად ახალი ეტაპია მის განვითარებასა და ტექნიკურ განახლებაში. ეს არის ნამდვილად დიდი შრომითი გამარჯვება, რომელიც ღირსეულად აგვირგვინებს მიმდინარე, საწარმოს კოლექტივისათვის საიუბილეო წელს — საექსპლოატაციოდ მისი გადაცემის ორმოცდაათი წლისთავის წელს.

მას, საქართველოს ინდუსტრიის ერთ-ერთ პირმშოს, თქვა შემდეგ ამხანაგმა კოლბინმა, გაწეკეთვნებოდა პასუხსაგები როლი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, საწარმოს მნიშვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდა დიდი სამამულო ომის წლებში, როცა მისი კოლექტივი პირნათლად ასრულებდა ფრონტის ყველა შეკვეთას. თითქოს განაგრძობდნენ ძველ ქართველ მეფოლადე მესაჯურველთა სახელოვან ტრადიციებს, რომლებიც ფლობდნენ განსაკუთრებით მტაცეცი ფოლადის დამზადების საიდუმლოებას, ზესტაფონელი ოსტატები აქტიურად მონაწილეობდნენ ომტაცეცესი ჯავშნის შექმნაში ტანკებისათვის, რომლებმაც ძლეგამოსილად განვლეს გზა მოსკოვიდან ბერლინამდე.

მაგრამ გადიოდა დრო და იცვლებოდა კრიტერიუმები, იცვლებოდა შეფასებანი, იცვლებოდა ქარხანაც: იგი იზრდებოდა, იკრებდა ძალებს, სულ მუდამ ახლდებოდა. 1953, 1964, 1970 წლებში საწარმოში ამოქმედდა ახალი სიმძლავრენი, ახალი მსხვილი თანამედროვე საამქროები. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ძირეული ცვლილებანი შეიტანა ინდუსტრიალიზაციის აუცილებელი ატრიბუტების შესახებ წარმოდგენაში. მისი მოთხოვნების შესაბამისად დაისახა მიზანი — გაგვეხადა წარმოება ეკოლოგიურად სუფთა, გამოგვერიცხა მავნე ამონაფრქვევები, მივგეწია ყველა პროცესის მაღალი ავტომატიზაციისათვის, გამოგვეყენებინა პროგრესული სახეობათა სათბობი, უფრო სრულად გადაგვემუშავებინა ნედლეული და ა. შ.

და ქარხნის კოლექტივი მუდამ ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. დღევანდელი დღე — გაზსაწმენდ ნაგებობათა კომპლექსის ამუშავების დღე ლოგიკური რგოლია ამ მნიშვნელოვანი და ფრიად საჭირო მუშაობის გრძელ ჯაჭვში.



გრამის უსწრაფესად განხორციელებით როგორც რესპუბლიკური ორგანიზაციების, ისე საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ორგანიზაციათა და საწარმოთა ღრმა ურთიერთდაინტერესების შედეგია.

ეს მოვლენა განსაკუთრებით სამახსოვრო და საგულისხმოა იმითაც, რომ ცა ზესტაფონის თავზე აღარ დაიფარება კვამლის ბოლქვებით, რაც ასე დამახასიათებელი იყო ქალაქის პანორამისათვის. ამიერიდან ფეროშენადნობთა ქარხანაა მთლიანად შეწყვეტს ჰაერის აუზში ნარჩენების ამოფრქვევას.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქარხნის საწმენდ ნაგებობათა კომპლექსი თვისებრივად ახალი ეტაპია მის განვითარებასა და ტექნიკურ განახლებაში. ეს არის ნამდვილად დიდი შრომითი გამარჯვება, რომელიც ღირსეულად აგვირგვინებს მიმდინარე, საწარმოს კოლექტივისათვის საიუბილეო წელს — საექსპლოატაციოდ მისი გადაცემის ორმოცდაათი წლისთავის წელს.

მას, საქართველოს ინდუსტრიის ერთ-ერთ პირმშოს, თქვა შემდეგ ამხანაგმა კოლბინმა, გაწეკეთვნებოდა პასუხსაგები როლი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, საწარმოს მნიშვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდა დიდი სამამულო ომის წლებში, როცა მისი კოლექტივი პირნათლად ასრულებდა ფრონტის ყველა შეკვეთას. თითქოს განაგრძობდნენ ძველ ქართველ მეფოლადე მესაჯურველთა სახელოვან ტრადიციებს, რომლებიც ფლობდნენ განსაკუთრებით მტაცეცი ფოლადის დამზადების საიდუმლოებას, ზესტაფონელი ოსტატები აქტიურად მონაწილეობდნენ ომტაცეცესი ჯავშნის შექმნაში ტანკებისათვის, რომლებმაც ძლეგამოსილად განვლეს გზა მოსკოვიდან ბერლინამდე.

მაგრამ გადიოდა დრო და იცვლებოდა კრიტერიუმები, იცვლებოდა შეფასებანი, იცვლებოდა ქარხანაც: იგი იზრდებოდა, იკრებდა ძალებს, სულ მუდამ ახლდებოდა. 1953, 1964, 1970 წლებში საწარმოში ამოქმედდა ახალი სიმძლავრენი, ახალი მსხვილი თანამედროვე საამქროები. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ძირეული ცვლილებანი შეიტანა ინდუსტრიალიზაციის აუცილებელი ატრიბუტების შესახებ წარმოდგენაში. მისი მოთხოვნების შესაბამისად დაისახა მიზანი — გაგვეხადა წარმოება ეკოლოგიურად სუფთა, გამოგვერიცხა მავნე ამონაფრქვევები, მივგეწია ყველა პროცესის მაღალი ავტომატიზაციისათვის, გამოგვეყენებინა პროგრესული სახეობათა სათბობი, უფრო სრულად გადაგვემუშავებინა ნედლეული და ა. შ.

ეკოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტა ახლა განსაკუთრებით აქტუალურია. მასზე დამოკიდებულია კაცობრიობის მომავალი, ჩვენი შვილების მომავალი. და შემთხვევითი არ არის, რომ ეს პრობლემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთა შორის იყო განხილული სკკპ XXVI ყრილობაზე.

დღეს პლანეტის მოსავლის დაცველ, გარემოსათვის მზრუნველ ადამიანთა შრომა სულ უფრო დიდი პატივით სარგებლობს. ეს მეტად კეთილშობილური და მნიშვნელოვანი მუშაობაა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, და რომელსაც, თუ მას ერთად მოვკიდებთ ხელს საგრძნობი შედეგები მოაქვს. ამას ზესტაფონის მაგალითი ადასტურებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხანაგმა გ. ვ. კოლბინმა გულთბილად და გულითადად მიულოცა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გაზსაწმენდ ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობის მონაწილეთა მრავალათასიან კოლექტივს დიდი შრომითი გამარჯვება.

წარმატების მიღწევაში წამყვანი როლი, თქვა ორატორმა, ეკუთვნის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის: და მექანიზაციის ტრესტის, რესპუბლიკის „მთავარმონტაჟსპეცმშენის“ ქვეგანაყოფების, რუსთავის ლითონკონსტრუქციათა ქარხნისა და „სამხრეთ მონტაჟ-ავტომატიკის“ სამმართველოს კოლექტივებს. მშენებლებს დიდი დახმარება გაუწიეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს „ცენტრმეტალურგრეგმონტის“ მუშაკებმა. დიდია საერთო წარმატებაში მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის, მისი რუსთავის ფილიალის კოლექტივების წვლილი, რომელთა მუშაკების შემოქმედებითი ძიება დაედო საფუძვლად რეკონსტრუქციას.

კომპლექსის მშენებლობა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საერთო-საკავშირო საქმე გახდა. ქართველ მშენებლებს დიდი დახმარება გაუწიეს მოსკოვის, უფის, დნეპროპეტროვსკის, ორკუტსკის, ბარნაულის, ზაპოროჟიეს, სვერდლოვსკის, უსტ-კამენოგორსკის, ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა. ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობას აქტიურად უჭერდნენ მხარს რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები. ფასდაღებულია რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობის პარტიული შტაბის წვლილი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ა. ალექსიძე ხელმძღვანელობს.

ამ მხრივ ძალზე კარგი და სასარგებლო საქმე გაკეთდა აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის შექმნითაც, რომელმაც საგრძნობი წვლილი შეიტანა კოლხეთის დაბლობში სამელიორაციო სამუშაოებისა და მელიორირებული მიწების გამოყენების ძირითად მიმართულებათა შემუშავებაში. და კიდევ ერთი ფაქტორი: საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სამუშაოთა მასშტაბების ზრდაზე ერთობ დადებითი გავლენა იქონია მისმა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენისადმი“ დაქვემდებარებამ.

კოლხეთის დაბლობზე სამელიორაციო სამუშაოთა ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დროის მოთხოვნას. ამის თაობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა კეთდება ზემოაღნიშნული ერთობ მნიშვნელოვანი დადგენილების შესასრულებლად, ვთხოვეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის თავისი მოსაზრებანი გაეზიარებინა „კოლხეთმშენის“ ტრესტის მმართველს ბ. ინასარიძეს.

— პარტიისა და მთავრობის დადგენილების მოთხოვნათა ხორციშესხმისათვის ტრესტის კოლექტივი დღენიადაგ ზრუნავს, — გვითხრა ტრესტის მმართველმა. — ამისათვის სათანადო პირობები გვაქვს შექმნილი. ჩვენს განკარგულებაშია მიწასათხრელი და სამშენებლო ტექნიკის საკმაოდ მძლავრი პარკი, წარმოებაში ფართოდ ინერგება ახალი მანქანები, სათანადო ყურადღება ექცევა მელიორატორთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ყოველივე ეს გვიქმნის საშუალებას შევასრულოთ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი — საექსპლოატაციოდ გადავცეთ 35 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწა.

განვლილი 50 წლის მანძილზე „კოლხეთმშენის“ ტრესტმა შეასრულა დაახლოებით 300 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ხალხის სამსახურში ჩადგა 87.485 ჰექტარი ფართობი, 48861 ჰექტარზე რეკონსტრუირებულია დამშრობი სისტემა და სხვ. ამ მიწებზე დაარსდა მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ეთერზეთებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების, მებოსტნეობის, მეცხოველეობის 38 საბჭოთა მეურნეობა. მათ გარდა დაშრობილ მიწებზე მოქმედებს აგრეთვე 21 კოლმეურნეობა და 4 მეცხოველეობის კომპლექსი, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებსაც მოჰყავთ დიდძალი ჩაი, ციტრუსები, დაფნა, ტუნგი, სიმინდი, სოია, ტურნეფსი, რაფსი და სხვა სუბტროპიკული თუ პირუტყვის საკვები კულტურები. „კოლხეთმშენმა“ დაშრობილ მიწებზე ააშენა მრავალი ნაგებობა, სკოლა, ტექნიკუმი, სასტუმრო, გაიყვანა წყალსადენი და სხვ.

კოლხეთის დაბლობზე მიწათმოქმედების განვითარებას თავდადებით ემსახურებიან ოცამდე ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის საგანგებოდ აღსანიშნავია ბ. გოგიას, მ. კუზნეცოვის, გ. გეგეჭკორის, გ. ზამბახიძის, ი. ლაღიძის, ა. გეფრჭოვის ა. ბიჩკაიას, ა. საჯაიას ა. მოწერელიას. გ. სერბინის, მ. ცაიცევის, ფ. ფედოტოვის, მ. ნარსიას, ვ. ზუბეცის, ნ. გუჯაბიძის და სხვათა შემართებული შრომა.

დიახ, წარჩინებული და სამაგალითო ხალი ტრესტში ბლომად არის, და მით უფრო სასიხარულოა, რომ ვეტერანების საქმეს ღირსეულად განაგრძობენ ახალი თაობის ადამიანები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

რ. რუსია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ხობის რაიონის №6 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი გ. ჩიქოვანი, უფროსი სამშენებლო მწარმოებელი ი. ინჯიბაშვილი და ოსტატი გ. სახოკია კოლხეთის სამშენო უბანზე.

ი. ბოსოლიანის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვალერიან კანდელაკი



ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ცნობილი დრამატურგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, 1946 წლიდან სკკპ წევრი ვალერიან ლაზარეს ძე კანდელაკი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი შემოქმედი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, წარმატებით აგრძელებდა უფროსი თაობის ქართველ დრამატურგთა სახელოვან ტრადიციებს.

ვალერიან კანდელაკი დაიბადა 1918 წლის 19 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში, იურისტის ოჯახში. 1936 წელს მან დაამთავრა ბათუმის ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლა. იმავე წელს ვალერიან კანდელაკი ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტად, შემდეგ კი იქვე განაგრძო სწავლა ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა საკავშირო იურიდიულ ინსტიტუტში დაუსწრებლად. 1940 წელს ვალერიან კანდელაკმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი;

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ვალერიან კანდელაკი 1940-1944 წლებში მუშაობდა ბათუმის საკალაჭო საბჭოს იურისკონსულტად, 1944-1953 წლებში არჩიეული იყო აჭარის ასსრ ადოყატთა კოლეგიის წევრად, შეთავსებით მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ.

ვალერიან კანდელაკი ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა 1945 წლიდან, როდესაც ბათუმისა და ქიათურის თეატრების სცენაზე დაიდგა დიდი სამამულო ომის თემისადმი მიძღვნილი პიესა „ბაბუა თევდორე“. მას შემდეგ ვალერიან კანდელაკის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები სისტემატურად იდგმებოდა ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სცენაზე, მისი პიესები გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ვალერიან კანდელაკის პიესები — „მაია წყნეთელი“, „ქართლის ჩირაღდნები“, „ოქროს საწმინი“, „დრო — 24 საათი“, „რეკვაზ პირველი“, „ხოკრატე“ და სხვები ქართველი მაყურებლის დამსახურებული აღიარებითა და მოწონებით ხარგებლობს.

ფართო იყო ვალერიან კანდელაკის შემოქმედებითი ინტერესების სფერო. იგი გატაცებით წერდა საქართველოს ისტორიულ წარსულზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პირველ დღეებზე, თანამედროვეობის, ჩვენი ყოფის საჭირბოროტო, აქტუალურ პრობლემებზე. რაზეც უნდა ეწერა ვალერიან კანდელაკს, მისი შემოქმედების მთავარი თემა მაინც საბჭოთა და მშობელი ხალხი იყო. მის პიესებში შესანიშნავად წარმოჩნდა ქართველი ხალხის უტები ნებისყოფა და ქედუხრელობა, მისი სიბრძნე და მამაცობა.

დიდი წარმატება ხვდა წილად ვალერიან კანდელაკის პიესას „მაია წყნეთელი“. ამ პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი წლების მანძილზე ამშვენებდა მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარს. ამავე პიესის მიხედვით ვალერიან კანდელაკმა შექმნა კინოსცენარი და კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო ხრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომელმაც ტრიუმფით მოიარა ჩვენი ქვეყნის კინოეკრანები.

ვალერიან კანდელაკის ორი პიესა („დრო—24 საათი“ „გრძელი დღე“) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მწერალთა კავშირის ერთობლივ კონკურსში პრემიით აღინიშნა.

ვალერიან კანდელაკი ავტორი იყო სატელევიზიო პიესებისა („მოლოდინი“, „იხატებოდა სურათი“).

წლების მანძილზე ვალერიან კანდელაკი ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, პარტიიუროს წევრი, პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. იგი არაერთხელ ყოფილა არჩიეული დრამატურგთა სექციის ბიუროს თავმჯდომარედ.

მისი უანგარო დვაწლი სათანადოდ დაფასდა. 1961 წელს ვალერიან კანდელაკს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ქართველმა მწერლებმა დაკარგეს შესანიშნავი თანამოკალმე, ღირსეული მოკალაქე, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ქართველი მწერლების, მადლიერი მკითხველის და მაყურებლის გულში.

ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერკეზია, ნ. შ. ჯანხოერიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი ა. ა. დვალიშვილი, ი. გ. აბაშიძე, გ. გ. აბაშიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ე. ს. მაღრაძე, დ. ა. ალექსიძე ე. დ. ამაშუკელი, გ. შ. ორჯონიკიძე, ე. ნ. შენგელია, რ. დ. ჩხეიძე, გ. შ. ციცი-შვილი, ჯ. ა ჩარკვიანი, შ. ვ. ნიშნიანიძე, რ. ს. მიმინო-შვილი, თ. ი. ჭილაძე, მ. ტ. ლასურია, შ. ი. ხალვაში, კ. ი. მარლიევი, დ. ვ. კვიცარიძე, ი. ო. ანდრიაძე, ო. ი. ეჯიბაძე, ხ. მ. ბერულავა გ. ი. ფანჯიკიძე, ა. ს. სულაკაური, ვ. ვ. ჭელიძე, რ. ა. მარგიანი, მ. თ. ფოცხიშვილი, ჯ. ნ. ღვინჯილია, მ. ი. მაჭავარიანი, კ. ა. ლორთქიფანიძე.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გაზსაწმენდ ნაგებობათა ექსპლოატაციოდ გადაცემისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს არგამწმენდ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ წარმატებით გადაცემისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

არაბიძე დავით ოთარის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს „ზესტაფონმშენის“ მოძღვარი, **ბარბაქაძე** აკაკი ალექსანდრეს ძე —

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ა. რ. აბრბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზური და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი **აზიზ რაშიდის ძე აგრბა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 26 აპრილი.



ხალხის სიყვარულით გარემოსილი

საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტის აზიზ აგრბას დაბადების 70 წლისთავის გამო

დიდი სიყვარულის მოხვეჭა მშობლიურ ხალხში მხოლოდ ბედნიერ ხელოვანთა ხვედრია. ამას წინათ მისი სოფელელები — ყულაბურხეას მკვიდრნი შეხვდნენ სახელგანთქმულ რეჟისორსა და მსახიობს, აფხაზური თეატრის ამაგდარს აზიზ აგრბას. აფხაზ მწერლებთან და მსახიობებთან ერთად მეც ვიყავი ამ საოცრად ლამაზ სოფელში. სამოცდაათი წლის ჭარმაგი ოსტატი თავისიანებში პირნათელი და უსაზღვროდ ბედნიერი იდგა, თანამემამულეთა სიყვარულითა და დარბაისლური პატივისცემით გარემოსილი თითქოს არ გრძნობდა დაღლილ მხრებზე შვიდი ათეული წლის ტვირთს. აქედან გაპყავდა მის ბავშვობას აღრიდანვე გალეკილებული ლტოლვა თეატრისადმი. იმ დღეს თავის თაყვანისმცემლებთან ერთად აზიზ აგრბა შთაგონებით განვლილი ცხოვრების გრძელ გზას იხსენებდა. მის არსებას ეუფლებოდა ჭეშმარიტი კმაყოფილება, თავს მდაბლად უხრიდა იმ ადამიანებს, ეს ბედნიერი დღე რომ დაუდასტურეს. აქ იყო სათავე ყველაფერი იმისა, რაც აგრბას უტყუარმა ტალანტმა ისევე უშურველად დაუბრუნა თავისსავე ხალხს. იმ წუთებში თითქოს სოფლური სიცხადით ხედავდა თავის მოუსვენარ ბავშვობას, გუდაუთის სკოლაში გამართულ პირველ წარმოდგენებს, მომავალი მსახიობისა და რეჟისორის გაუბედავ ნაბიჯებს. თავისი ხალხის წიაღიდან და თავისსავე ბავშვობიდან მოდიოდა, რათა მოსულიყო აფხაზურ თეატრში რწმენითა და იმედით სავსე, მოსულიყო, რათა დაეხარჯა სცენაზე ყველაფერი, რაც აკვნიდან სიჭარმაგამდე მონიეზოდა მის ცხოვრებას. მერე იყო სოხუმის დრამატული სტუდია, ცნობილი პედაგოგი ვასილ ივანეს ძე დომბაგაროვი და აფხაზური კულტურის ბერმუხა დიმიტრი გულია. ოსტატებთან ოსტატდებოდა, მოღონიერებულ ეროვნულ თეატრში მხრებს შლიდა, მისი შინაგანი ენერგია რთული და ძნელი როლებისთვის ემზადებოდა. უკვე გოგოლის „რევიზორთან“ მისულიყო და გოროდნიჩის თამაშიც გაებედა. ნიჭიერმა ჭაბუკმა იცოდა, რომ ოსტატობის გზა უსასრულოა. თავის მშობლიურ სოფელში იმ წუთებში ნათლად ხედავდა ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დიდოსტატებს, მოსკოვში იმ ერთ წელიწადს სამხატვრო თეატრის უაღრესად თანამედროვე თეატრალურ პრინციპებს სისხლხორცეულად ითვისებდა, რათა მერე ყველაფერი ღრმად შეთვისებული და განცდილი თავისსავე მშობლიურ თეატრში მოეტანა. მადლიერების გრძნობით სავსეს თვალწინ ედგა ორმოციანი წლების ქართული საბჭოთა თეატრის მესვეურები, სტუდიელები თბილისის თეატრალური ინსტიტუტისა, ბუმბერაზი აკაკი ხორავა და რეჟისორ დიმიტრი ალექსიძის დაუვიწყარი რეპეტიციები. უკვე ფეხადგმული აფხაზური თეატრი და დრამატურგია ჩამოყალიბებულ რეჟისორსა და აქტიორს დაჯერებული ანდობდა თავის მომავალს. უკვე სოხუმის თეატრის მთავარი რეჟისორი და აქტიორი თავის თანამოძმეებთან ერთად ასახიერებდა როლებს აფხაზური დრამატურგიის თვალსაჩინო ნიმუშებში გიორგი გულიას „გმირთა კლდეში“, შარახ ფაჩალიას „გულდაში“, ა. ლაგულაასა და გ. სულიკაშვილის „აბრსკილში“. განსაკუთრებით უყვარდა რაშიტის როლი ს. ჭანბას პიესაში „მახაჯირი“, ქელეში გიორგი გულიას პიესიდან „შავი სტუმრები“...

იმ როლებს, თავის პარტნიორებს, თეატრში სამუდამოდ შეთვისებულ ნიჭიერ თანატოლებს თავისი დღეობის წმინდა სუფრაზე საპატიო, ძვირფას სტუმრებად ხედავდა. მის გმირები იმ ხალხიდან იყვნენ, ახლა რომ სამოცდაათი წლის აზიზ აგრბას თვალებგაბრწყინებულნი შემოჰყურებდნენ. აფხიარცას ხმებთან და ნართების ეპოსთან ერთად ჰქონდა მას განცდილი თავისი ხალხის ფოლკლორი, გრძნობდა მის ფესვებს და ტანტინეს ასული — „კოლხეთმშენის“ ტრესტის № 3 მოძრავი მექანიზებული კოლონის ექსკავატორის მემანქანე, **კოსტავა** გრიგორ ალექსის ძე— საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპლოატაციის სექტორის გამგე, **შატბერაშვილი** ფრიდონ ალექსანდრეს ძე — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **შენგელია** ელენე აპოლონის ასული — „საქსახწყალპროექტის“ ინსტიტუტის სამუშაოებისა და ბარჯთაღრიცხვის ორგანიზაციის პროექტის განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელი, **ჯანჯალაშვილი** ნათელა მიხეილის ასული — „საქსახწყალპროექტის“ ინსტიტუტის ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი, **ჯღარკავა** ქორა ანდრიას ძე — „კოლხეთმშენის“ ტრესტის №7 მოძრავი მექანიზებული კოლონის ექსკავატორის მემანქანე, **ჯღარკავა** როდიონ იულონის ძე — „კოლხეთმშენის“ ტრესტის №7 მოძრავი მექანიზებული კოლონის ექსკავატორის მემანქანე.

სოფლიდან წასული შორი გზების დაუღლელი მგზავრი არასოდეს გამორრცია თავის ხალხს. სოფლის პატარა კლუბში გამართული მოკრძალებული დღესასწაული აგრბების დიდ ოჯახში გაგრძელდა. თანასოფლელები, სტუმრები ადღეგრძელებდნენ პატრიარქურული სიდარბაისლით თეატრის ხელოვნების შვილებულ კაცს. თავს დასტრიალებდნენ, სიმღერებს უმღერიდნენ, აფხაზურ სიმღერებს, საუკუნეების სიღრმიდან წამოსულს. ეზოში, სადაც აგრბების ს